პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

რეკომენდაციები

კონფიდენციალურობის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების თაობაზე

© პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2025

X

სარეკომენდაციო დოკუმენტის მიზანია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმათა განმარტება და საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა. ის არ წარმოადგენს სამართლებრივ აქტს, არის სარეკომენდაციო ხასიათის და არ წარმოშობს დამატებით უფლებებსა და ვალდებულებებს.

შინაარსი

შესავალი 3

1. კონფიდენციალურობის პოლიტიკის დოკუმენტში გასათვალისწინებელი მოთხოვნები 4

1.1. მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მონაცემთა უშუალოდ მისგან შეგროვების შემთხვევაში 6

1.1.1 დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, მისი წარმომადგენლის ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა/სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია 6

1.1.2. მონაცემთა დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძველი 7

1.1.3. მონაცემთა მიწოდების სავალდებულოობა 8

1.1.4. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესები 9

1.1.5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია 9

1.1.6. მონაცემთა მიმღების ვინაობა ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 10

1.1.7. მონაცემთა დაგეგმილი საერთაშორისო გადაცემისა და მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობა 11

1.1.8. მონაცემთა შენახვის ვადა 13

1.1.9. მონაცემთა სუბიექტის უფლებები 13

1.1.10. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისგან გამონაკლისები 14

1.2. მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება, თუ მონაცემების შეგროვება უშუალოდ მისგან არ ხდება 15

1.2.1. ინფორმაცია, რომელიც არ გროვდება მონაცემთა სუბიექტისგან 16

1.2.2. ინფორმაციის მოპოვების წყარო 17

1.2.3. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისგან გამონაკლისები 17

2. კონფიდენციალურობის პოლიტიკის შემუშავებისას გასათვალისწინებელი ძირითადი რეკომენდაციები 18

დანართი - კონფიდენციალურობის პოლიტიკაში გასათვალისწინებელი მინიმალური ინფორმაცია 20

შესავალი

2024 წლის პირველ მარტს, ძალაში შევიდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი[1], რომელიც მონაცემთა სუბიექტებს ანიჭებს სათანადო უფლებებს, ხოლო დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს აკისრებს რიგ ვალდებულებებს. მათ შორის, აღსანიშნავია კანონის 24-ე და 25-ე მუხლების გათვალისწინებული ვალდებულება, რომლის თანახმად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე, რაც მჭიდრო კავშირშია მონაცემთა სუბიექტის მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებასთან.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით, დამუშავების სხვა პრინციპებთან ერთად, გათვალისწინებულია, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა გამჭვირვალედ დამუშავების ვალდებულება. კონფიდენციალურობის პოლიტიკა კი, წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი გამჭვირვალეს ხდის მის მიერ მონაცემების დამუშავების პროცესს.[2]

წინამდებარე დოკუმენტი დაეხმარება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს კონფიდენციალურობის პოლიტიკის შემუშავების პროცესში. თითოეული თავის ფარგლებში განმარტებულია, თუ რა საკითხებზე უნდა იქნას გამახვილებული ყურადღება და რა პრინციპით უნდა იმოქმედოს დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა. აღსანიშნავია, რომ კონფიდენციალურობის პოლიტიკის დოკუმენტი წარმოადგენს ე. წ. ანგარიშვალდებულების ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შეუძლია, წარმოაჩინოს მონაცემთა დამუშავების პროცესების პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

ხაზგასასმელია, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი არ არის შეზღუდული წინამდებარე რეკომენდაციებში განხილული ცალკეული საკითხებით, შესაბამისად, კონფიდენციალურობის პოლიტიკის დოკუმენტში მას შეუძლია ასახოს დამატებითი საკითხები, რომელთა მიზანიც იქნება მონაცემთა დამუშავების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და მონაცემთა სუბიექტის სრულყოფილი ინფორმირება.

---

[1] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი (14/06/2023; №3144-XIმსXმპ).

[2] Data Protection Commission (Ireland), "How do I make a privacy policy?" <https://www.dataprotection.ie/en/faqs/responsibilities-data-controllers/how-do-i-make-privacy-policy>, [21.10.2024].

რეკომენდაციები მომზადებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (14/06/2023; №3144-XIმს-Xმპ) ნორმატიული შინაარსისა და საერთაშორისო სტანდარტების ანალიზის საფუძველზე.

1. კონფიდენციალურობის პოლიტიკის დოკუმენტში გასათვალისწინებელი მოთხოვნები

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის IV თავში გათვალისწინებულია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების ვალდებულებები, რომლებიც, მათ შორის, შეეხება მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებას პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ. კერძოდ:

1. მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მონაცემთა უშუალოდ მისგან შეგროვების შემთხვევაში (კანონის 24-ე მუხლი)[3];
2. მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება, თუ მონაცემების შეგროვება უშუალოდ მისგან არ ხდება (კანონის 25-ე მუხლი).

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და გამოყენების შესახებ. **ხაზგასასმელია, რომ მონაცემთა დამუშავების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, კონფიდენციალურობის პოლიტიკაში ასახული ინფორმაცია უნდა იყოს მარტივი და გასაგები.**[4]

კონფიდენციალურობის პოლიტიკის მეშვეობით მონაცემთა სუბიექტებისთვის ნათელი და სრულად გასაგები უნდა იყოს, მათთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების შეგროვების, გამოყენების, გაცნობისა ან სხვა სახით დამუშავების პროცესი. მათთვის, ასევე, ცნობილი უნდა იყოს, თუ რა მოცულობით მუშავდება მათი პერსონალური მონაცემები. გამჭვირვალობის პრინციპის[5] მოთხოვნაა, რომ ნებისმიერი ინფორმაცია და კომუნიკაცია, რომელიც უკავშირდება პერსონალური მონაცემების დამუშავებას,

[3] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 24.

[4] Information Commissioner's Office (ICO), Right to be informed, <https://ico.org.uk/for-organisations/uk-gdpr-guidance-and-resources/individual-rights/individual-rights/right-to-be-informed/?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR1IyP9j0muw4VCJxG2OlDvKGfMMlppEiTZ5KruGq4jO0xVfzbV-8FQEbxY_aem_2DButFqo6HLFS0z86NUE3Q>, [21.10.2024].

[5] იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესახებ.

უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი და გასაგები, ასევე, ნათლად და მარტივი ენით გადმოცემული.[6]

გამჭვირვალობის მიზანია მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზების ხელშეწყობა, საკუთარი პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესის კონტროლი და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი თუ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების ანგარიშვალდებულება.[7]

<u>**მაგალითი:**</u>

ყველა ორგანიზაცია, რომელსაც აქვს საკუთარი ვებგვერდი ვალდებულია, გამოაქვეყნოს კონფიდენციალურობის შესახებ განაცხადი/შეტყობინება, ხოლო განაცხადის/შეტყობინების პირდაპირი ბმული ნათლად უნდა ჩანდეს თითოეულ გვერდზე, ფართოდ გავრცელებული ტერმინის ქვეშ (მაგალითად: „კონფიდენციალურობის დაცვა“, „კონფიდენციალურობის პოლიტიკა“ ან „მონაცემთა დაცვის შესახებ შეტყობინება“). მონაცემთა გამჭვირვალობის პრინციპს ეწინააღმდეგება ტექსტის/ბმულის განთავსება იმგვარად, რაც მას ნაკლებად შესამჩნევს ხდის ან ართულებს მის მოძიებას ვებგვერდზე.[8]

კანონით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული მოთხოვნიდან გამომდინარე, კანონის 24-ე და 25-ე მუხლებში მითითებულია მონაცემთა სუბიექტისთვის მისაწოდებელი ინფორმაცია.

---

[6] Article 29 Data Protection Working Party, Guidelines on transparency under Regulation 2016/679, Adopted on 29 November 2017, 6, <https://www.edpb.europa.eu/system/files/2023-09/wp260rev01_en.pdf?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR0k3DiiIEw8ZjUsLE4kijtVX6RwTPbPDWKPGON82ShNm5Tm97LLEVxK0tg_aem_ViYxYz3bRmpweJudDoiYLA>, [21.10.2024].
სახელმძღვანელო რეკომენდაცია ქართულ ენაზე იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებგვერდზე: <https://tinyurl.com/h3fzhm8v>, [21.10.2024].
[7] იქვე, 5.
[8] იქვე, 8.

1.1. მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მონაცემთა უშუალოდ მისგან შეგროვების შემთხვევაში

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, მონაცემების უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან შეგროვებისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, მონაცემთა შეგროვებამდე ან შეგროვების დაწყებისთანავე მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

აღნიშნულის მიზანია, რომ მონაცემთა სუბიექტმა წინასწარ განსაზღვროს, თუ რას მოიცავს მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების ფარგლები, რათა, თავის მხრივ, მიიღოს დამუშავების პროცესთან დაკავშირებით ინფორმირებული გადაწყვეტილება. აღნიშნული საკითხი მჭიდრო კავშირშია სამართლიანობის პრინციპთან, რომლის თანახმად, ფიზიკური პირები ინფორმირებულები უნდა იყვნენ პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების, წესების, დაცვის მექანიზმების და უფლებების შესახებ. ამავდროულად, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა უნდა შეაფასონ, მონაცემთა სუბიექტთა უფლებებზე დამუშავების პროცესის გავლენა და რისკები, რომელთა შესახებ უნდა ეცნობოს მონაცემთა სუბიექტს.[9]

მონაცემთა სუბიექტს მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით არ უნდა უწევდეს დამატებითი ინფორმაციის მოძიება. მისთვის კანონით განსაზღვრული ინფორმაცია მარტივად უნდა იყოს ხელმისაწვდომი.[10]

1.1.1 დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, მისი წარმომადგენლის ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა/სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია

უპირველეს ყოვლისა, მონაცემთა სუბიექტს უნდა ეცნობოს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, მისი წარმომადგენლის ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია. აღნიშნული მონაცემთა სუბიექტისთვის მნიშვნელოვანია, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან კომუნიკაციისა და კანონით მინიჭებული უფლებებით

[9] Article 29 Data Protection Working Party, Guidelines on transparency under Regulation 2016/679, Adopted on 29 November 2017, 7.

[10] იქვე, 8.

სარგებლობის თვალსაზრისით. **საკონტაქტო ინფორმაცია სასურველია, მოიცავდეს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებს, როგორიცაა: ტელეფონის ნომერი; ელექტრონული ფოსტა; საფოსტო მისამართი და ა. შ.**[11]

1.1.2. მონაცემთა დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძველი

კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, მონაცემები შეაგროვოს/მოიპოვოს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის. ამასთანავე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების კონკრეტული მიზნების თაობაზე, რათა სუბიექტი დარწმუნდეს, რომ მისი მონაცემები მუშავდება კანონის შესაბამისად.[12] **მონაცემთა სუბიექტთა პერსონალური მონაცემების დამუშავებამდე მნიშვნელოვანია, განისაზღვროს დამუშავების სამართლებრივი საფუძველი.**[13]

კანონის მე-5 მუხლის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

- მონაცემთა სუბიექტის თანხმობა მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე;
- მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დადება;
- კანონით გათვალისწინებული საფუძველი;
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება;
- მონაცემთა საჯაროდ ხელმისაწვდომობა ან მონაცემთა სუბიექტის მიერ მონაცემების გასაჯაროება;
- მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა;
- საჯარო ინტერესის დაცვა;

[11] GDPR hub, Article 13 GDPR, Information to be provided where personal data are collected from the data subject, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_13_GDPR>, [21.10.2024].
[12] იქვე.
[13] Information Commissioner's Office (ICO), "How to write a privacy notice and what goes in it", <https://ico.org.uk/for-organisations/advice-for-small-organisations/how-to-write-a-privacy-notice-and-what-goes-in-it/>, [21.10.2024].

- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესრულება;
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დაცვა;
- მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვა.

განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავება დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დაცვის ამ კანონით გათვალისწინებული გარანტიები და არსებობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველი.

კონფიდენციალურობის პოლიტიკაში დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა დააკონკრეტოს, თუ რომელი საფუძვლ(ებ)ით ამუშავებს პერსონალურ ინფორმაციას.

1.1.3. მონაცემთა მიწოდების სავალდებულოობა

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, მონაცემთა შეგროვებამდე ან შეგროვების დაწყებისთანავე მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ინფორმაცია მონაცემთა მიწოდების სავალდებულო ხასიათის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისათვის მონაცემთა გაზიარება სავალდებულოა, სუბიექტს უნდა ეცნობოს მონაცემთა მიწოდებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგების თაობაზე, აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მონაცემთა შეგროვება/მოპოვება გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით ან თუკი აუცილებელი პირობაა ხელშეკრულების დასადებად (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში).[14]

[14] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

1.1.4. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესები

კონფიდენციალურობის პოლიტიკაში აგრეთვე უნდა აისახოს ინფორმაცია იმ ლეგიტიმური ინტერესის შესახებ, რომელიც პერსონალური მონაცემის დამუშავების პროცესის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს.[15]

<u>მაგალითი:</u>

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ლეგიტიმური ინტერესის არსებობის საფუძველზე ამუშავებს მონაცემთა სუბიექტის "IP" მისამართს კიბერთავდასხმის და სხვა უსაფრთხოების დარღვევის პრევენციისთვის. ამავდროულად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი პერსონალურ მონაცემებს იყენებს სარეკლამო მიზნებისთვის. პერსონალური მონაცემების დასამუშავებლად დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის განსაკუთრებული ინტერესი კონფიდენციალურობის პოლიტიკაში უნდა განიმარტოს ნათლად, რათა მონაცემთა სუბიექტს ჰქონდეს ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების ლეგიტიმური ინტერესის შესახებ. სუბიექტი კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დარწმუნდეს, რომ ლეგიტიმურ ინტერესს წარმოადგენს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და არა სარეკლამო შეთავაზება.

აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მონაცემთა სუბიექტი შეძლებს, შეაფასოს თუ რამდენადაა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ პერსონალური მონაცემების დასამუშავებლად დასახელებული ინტერესი „ლეგიტიმური" და დამუშავების მიზნის პროპორციული. თუ მონაცემთა სუბიექტი მიიჩნევს, რომ პერსონალური ინფორმაციის დამუშავება არაპროპორციულია, უფლებამოსილია, ისარგებლოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებებით.[16]

1.1.5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად, თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირი არის საჯარო

[15] იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტი".

[16] GDPR hub, Article 13 GDPR, Information to be provided where personal data are collected from the data subject, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_13_GDPR>, [21.10.2024].

დაწესებულება, სადაზღვევო ორგანიზაცია, კომერციული ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, საკრედიტო ბიურო, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია, ავიაკომპანია, აეროპორტი, სამედიცინო დაწესებულება, აგრეთვე დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც ამუშავებს დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების მონაცემებს ან ახორციელებს მათი ქცევის სისტემატურ და მასშტაბურ მონიტორინგს, ამ შემთხვევაში ეკისრება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის ვალდებულება.

კონფიდენციალურობის პოლიტიკაში მნიშვნელოვანია მიეთითოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და მისი საკონტაქტო ინფორმაცია, კერძოდ: საფოსტო მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, რადგან მონაცემთა სუბიექტისათვის მასთან დაკავშირებული ინფორმაცია მარტივად იყოს ხელმისაწვდომი.[17]

1.1.6. მონაცემთა მიმღების ვინაობა ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ეკისრება ვალდებულება, დააკონკრეტოს მონაცემთა მიმღების ვინაობა.[18] კანონის მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა მიმღები არის ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელსაც მონაცემები გადაეცა, გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა. მონაცემთა მიმღებს შეიძლება, წარმოადგენდეს, ასევე, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი.

<u>მაგალითი:</u>

კონფიდენციალურობის პოლიტიკის დოკუმენტში, რომელიც შეეხება კომპანიის დასაქმებულ პირებს, უნდა იქნას იდენტიფიცირებული დასაქმებულთა მონაცემების ყველა მიმღები. მასში მოიაზრება ნებისმიერი გარე მხარე, რომელსაც აქვს ფაქტობრივი წვდომა პერსონალურ ინფორმაციაზე, მაგალითად, როგორიცაა: დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი; გარე მომსახურების კომპანიები და სხვა.[19]

---

[17] GDPR hub, Article 13 GDPR, Information to be provided where personal data are collected from the data subject, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_13_GDPR>, [21.10.2024].

[18] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

[19] GDPR hub, Article 13 GDPR, Information to be provided where personal data are collected from the data subject, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_13_GDPR>, [18.10.2024].

კანონი, ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით, მონაცემთა კონკრეტული მიმღების დასახელების შეუძლებლობის შემთხვევაში, იძლევა მონაცემთა მიმღებთა კატეგორიის თაობაზე ინფორმაციის მითითების საშუალებას. თითოეულ შემთხვევაში, აუცილებელია, რომ მონაცემთა სუბიექტს ინფორმაცია გასაგები ფორმით და სრულყოფილად მიეწოდოს.

„მონაცემთა მიმღების კატეგორიაში" მოიაზრება მონაცემთა მიმღების კლასიფიკაცია/დაჯგუფება საქმიანობის სფეროს ან ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით.[20] მოცემულ შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა დაასახელოს მონაცემთა მიმღები თითოეული მხარე, რათა მონაცემთა სუბიექტს ჰქონდეს ინფორმაცია იმ პირთა შესახებ, რომლებსაც გადაეცემათ მისი პერსონალური მონაცემები. ინფორმაცია უნდა იყოს მაქსიმალურად დაკონკრეტებული.[21]

1.1.7. მონაცემთა დაგეგმილი საერთაშორისო გადაცემისა და მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობა

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის საერთაშორისო გადაცემის შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მონაცემთა დაგეგმილი გადაცემისა და მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობის შესახებ, მათ შორის, მონაცემთა გადაცემაზე ნებართვის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა დასაშვებია, თუ არსებობს მონაცემთა დამუშავების ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები და შესაბამის სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის სათანადო გარანტიები.

გარდა აღნიშნულისა, მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა დასაშვებია, თუ:

- მონაცემთა გადაცემა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებით;
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და შესაბამის

[20] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს" ქვეპუნქტი.
[21] GDPR hub, Article 13 GDPR, Information to be provided where personal data are collected from the data subject, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_13_GDPR>, [18.10.2024].

სახელმწიფოს, ასეთი სახელმწიფოს სათანადო საჯარო დაწესებულებას, იურიდიულ პირს ან ფიზიკურ პირს ან საერთაშორისო ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებით (აღნიშნული საფუძვლით მონაცემთა გადაცემა შეიძლება მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ნებართვის მიღების შემდეგ);

- მონაცემთა გადაცემა გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (საგამოძიებო მოქმედების განხორციელების მიზნით), „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ან „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტით;
- შესაბამის სახელმწიფოში მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არარსებობისა და შესაძლო საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ მონაცემთა სუბიექტი განაცხადებს წერილობით თანხმობას;
- მონაცემთა გადაცემა აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არ აქვს, მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა განაცხადოს;
- არსებობს კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი (მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილება, გამოძიება, გამოვლენა და სისხლისსამართლებრივი დევნა, სასჯელის აღსრულება და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება) და მონაცემთა გადაცემა აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში.[22]

[22] მონაცემთა საერთაშორისო გადაცემასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხ: პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის თაობაზე ნებართვის გაცემის წესის და პერსონალურ მონაცემთა სხვა სახელმწიფოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის თაობაზე განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

1.1.8. მონაცემთა შენახვის ვადა

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ინფორმაცია მონაცემთა შენახვის ვადის შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე.[23]

აღსანიშნავია, რომ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მონაცემთა შენახვის ვადა შეიძლება, განსაზღვრული იყოს კანონით ან/და კანონის შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. მოცემულ შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს არ ეკისრება ვალდებულება, თავად განსაზღვროს მონაცემთა შენახვის ვადა.

მაგალითი:

ონლაინ გაყიდვების მიზნებისთვის დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირმა შეიძლება, დოკუმენტში მიუთითოს, რომ მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები შეინახება შესყიდვის განხორციელებიდან 7 წლის ვადით, საგადასახადო ჩანაწერების შენახვის სამართლებრივი ვალდებულებების არსებობიდან გამომდინარე, ან მომხმარებლის მიერ სამსახურთან კომუნიკაციის შესახებ ინფორმაცია შეინახება 3 თვის ვადით, რომელიც აითვლება ბოლო კომუნიკაციიდან.[24]

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის პერსონალური მონაცემების შენახვის ვადის გასაჯაროების შესახებ ვალდებულების დაწესება, აგრეთვე, მოიაზრებს მონაცემთა „შენახვის ვადის შეზღუდვის“ პრინციპთან[25] შესაბამისობას.

1.1.9. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს მონაცემთა სუბიექტებთან მიმართებით ეკისრებათ ვალდებულება: მონაცემთა სუბიექტებს მიაწოდონ ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ; დაიცვან გამჭვირვალობის პრინციპი; ხელი შეუწყონ მონაცემთა

[23] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

[24] GDPR hub, Article 13 GDPR, Information to be provided where personal data are collected from the data subject, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_13_GDPR>, [18.10.2024].

[25] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

სუბიექტების იმ უფლებების განხორციელებას, რომლებიც გარანტირებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.[26]

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ, რომლებიც თავმოყრილია კანონის III თავში (13-22 მუხლები):

- მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება;
- მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება;
- მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება;
- მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება;
- მონაცემთა დაბლოკვის უფლება;
- მონაცემთა გადატანის უფლება;
- ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება და მასთან დაკავშირებული უფლებები;
- თანხმობის გამოხმობის უფლება.

გასათვალისწინებელია, რომ მონაცემთა სუბიექტისთვის კანონის მე-3 თავით გათვალისწინებული უფლებების არსებობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება არ არის საკმარისი. კონკრეტულად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა, დამატებით, უნდა განმარტოს, თუ რა მოიაზრება თითოეულ უფლებაში და როგორ შეუძლია მონაცემთა სუბიექტს აღნიშნულით სარგებლობა.[27]

1.1.10. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისგან გამონაკლისები

კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება სავალდებულო არ არის, თუ არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ მონაცემთა სუბიექტი უკვე ფლობს აღნიშნულ ინფორმაციას. გამონაკლისში, ასევე, მოიაზრება გარემოება, როდესაც სპეციალური კანონმდებლობა ადგენს მონაცემთა სუბიექტისგან მონაცემების შეგროვებისას მისი ინფორმირების განსხვავებულ წესს და ეს წესი არ იწვევს მონაცემთა სუბიექტის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას. ამ შემთხვევაში სუბიექტის წერილობითი მოთხოვნის არსებობისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ზემოხსენებული მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია

[26] Article 29 Data Protection Working Party, Guidelines on transparency under Regulation 2016/679, Adopted on 29 November 2017, 26.

[27] GDPR hub, Article 13 GDPR, Information to be provided where personal data are collected from the data subject, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_13_GDPR>, [21.10.2024].

მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, თუ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვის საფუძვლები.

ანგარიშვალდებულების პრინციპის თანახმად, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა მოახდინოს დემონსტრირება იმისა, თუ რა ინფორმაციას ფლობს მონაცემთა სუბიექტი, როგორ და როდის მიიღო მან აღნიშნული ინფორმაცია და რომ არ შესულა მასში არსებითი ცვლილებები.[28]

1.2. მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება, თუ მონაცემების შეგროვება უშუალოდ მისგან არ ხდება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, თუ მონაცემები უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან არ გროვდება, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.[29] **დამატებით, მონაცემთა სუბიექტს უნდა ეცნობოს მის შესახებ, თუ რა მონაცემები მუშავდება და ამ მონაცემთა მოპოვების წყარო, მათ შორის, ინფორმაცია მასზედ, მოპოვებულ იქნა თუ არა მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან. აღნიშნული ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტში.**

კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს გონივრულ ვადაში, ან, თუ მონაცემები გამოიყენება მონაცემთა სუბიექტთან დასაკავშირებლად, მასთან პირველი კომუნიკაციისთანავე, ხოლო თუ დაგეგმილია მონაცემთა გამჟღავნება, – მონაცემთა გამჟღავნებამდე, მაგრამ მონაცემთა მოპოვებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუკი არ არსებობს უფლების შეზღუდვის საფუძვლები.

ხაზგასასმელია, რომ კანონის 25-ე მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის ვალდებულება არ ვრცელდება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირზე, თუ:

- მონაცემთა სუბიექტი უკვე ფლობს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას;

[28] Article 29 Data Protection Working Party, Guidelines on transparency under Regulation 2016/679, Adopted on 29 November 2017, 26.

[29] დეტალური ინფორმაციისთვის იხ. თავი: „მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მონაცემთა უშუალოდ მისგან შეგროვების შემთხვევაში.“

- მონაცემთა შეგროვება ან გამჟღავნება დადგენილია კანონით ან საჭიროა საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად;
- ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია ან მოითხოვს არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას ან ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს ან შეუძლებელს გახდის მონაცემთა დამუშავების კანონიერი მიზნის (მიზნების) შესრულებას. ამ შემთხვევებში დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა მიიღოს სათანადო ზომები მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, მათ შორის, მონაცემების მოპოვების შესახებ ზოგადი ინფორმაციის საჯაროდ/ყველასთვის ხელმისაწვდომი ფორმით განთავსებით.[30]

1.2.1. ინფორმაცია, რომელიც არ გროვდება მონაცემთა სუბიექტისგან

მონაცემთა სუბიექტისგან ინფორმაციის პირდაპირ მოწოდება არ ხორციელდება, როდესაც ეს უკანასკნელი არ არის ჩართული მონაცემთა შეგროვების პროცესში. აღნიშნული მოიცავს ვითარებას, როდესაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები აგროვებენ მონაცემთა სუბიექტების პერსონალურ ინფორმაციას, რომელიც მოპოვებულია:

- საჯარო წყაროებიდან;
- სხვადასხვა ბიზნეს პარტნიორისგან;
- სხვა ფიზიკური პირებისგან;
- სხვა შემთხვევებში.

ამასთან, ინფორმაცია შეიძლება, მონაცემთა სუბიექტისგან არ შეგროვდეს, როდესაც რამდენიმე დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მუშაობს ერთად, როგორიცაა მაგალითად, ონლაინ მაღაზია, რომელიც საგადასახადო მომსახურების მიმწოდებელსა და მიტანის სერვისს გადასცემს მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს. მოცემულ შემთხვევაში, ინფორმაცია უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან არ მოიპოვება.[31]

---

[30] წინამდებარე თავში კანონის ნორმათა სათანადო ინტერპრეტაციის მიზნით, განხილული იქნება 25-ე მუხლის ელემენტები.

[31] GDPR hub, Article 14 GDPR, Information to be provided where personal data have not been obtained from the data subject, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_14_GDPR>, [21.10.2024].

1.2.2. ინფორმაციის მოპოვების წყარო

პერსონალური მონაცემების არაპირდაპირი შეგროვების შემთხვევაში, კანონის 25-ე მუხლი მოითხოვს, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ინფორმაცია მონაცემების მოპოვების წყაროს შესახებ, რომელიც შეიძლება, იყოს როგორც სხვა დაწესებულება, ასევე, ტექნიკური წყაროები (მაგალითად, ღია წყაროები, ვიდეოსამეთვალყურეო საშუალებები და სხვა).

თუ მონაცემები მოიპოვება საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა დააკონკრეტოს წყარო (მაგალითად, ონლაინ ჟურნალები, სოციალური ქსელები). პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მონაცემთა დამუშავების პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, მონაცემთა დამუშავების პროცესში დაინერგოს გამჭვირვალობის ხელშემწყობი მექანიზმები.[32]

1.2.3. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისგან გამონაკლისები

კანონის 25-ე მუხლი ადგენს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისგან გამონაკლისს, რომლის შესაბამისადაც ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება არ ვრცელდება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირზე, თუ ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია ან მოითხოვს არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას ან ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს ან შეუძლებელს გახდის მონაცემთა დამუშავების კანონიერი მიზნ(ებ)ის შესრულებას.

მიზანშეწონილია, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისგან გამონაკლისები განიმარტოს ვიწროდ და მხოლოდ მაშინ ამოქმედდეს, როდესაც შესაბამის კანონმდებლობაში სათანადო სიზუსტითა და აღქმადად იქნება გაწერილი მონაცემთა დამუშავების საკითხები, რაც აუცილებელია კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად. აღნიშნულის მიზანია მონაცემთა სუბიექტის ინტერესების დაცვა.

მოცემულ შემთხვევაში დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა დაასაბუთოს, რომ მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია, ან დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან. ამავდროულად, უნდა დასაბუთდეს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება

[32] GDPR hub, Article 14 GDPR, Information to be provided where personal data have not been obtained from the data subject, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_14_GDPR>, [21.10.2024].

მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს ან შეუძლებელს გახდის მონაცემთა დამუშავების კანონიერი მიზნის (მიზნების) შესრულებას.

მაგალითი:

სამედიცინო დაწესებულებაში პაციენტებს სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობისთვის მოეთხოვებათ საინფორმაციო ფორმის შევსება, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებს ორი ახლო ნათესავის შესახებ ინფორმაციის მითითებას. იმის გათვალისწინებით, რომ საავადმყოფოს ყოველდღიურად მრავალი პაციენტი მიმართავს, საავადმყოფოს მხრიდან არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთანაა დაკავშირებული იმ პირებისათვის, რომელთა შესახებ მონაცემებსაც პაციენტები ფორმაში უთითებენ, 25-ე მუხლით დადგენილი ინფორმაციის მიწოდება.[33]

აგრეთვე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა მიიღოს სათანადო ზომები მონაცემთა სუბიექტების უფლებების და თავისუფლებების და ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად.[34]

2. კონფიდენციალურობის პოლიტიკის შემუშავებისას გასათვალისწინებელი ძირითადი რეკომენდაციები

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა, კონფიდენციალურობის პოლიტიკის შემუშავებისას უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული დოკუმენტის ძირითადი ადრესატი — მონაცემთა სუბიექტი. სწორედ მისი უფლებების დაცვის პერსპექტივიდან უნდა იქნეს ასახული საჭირო ინფორმაცია. კერძოდ, მონაცემთა სუბიექტმა დოკუმენტის საშუალებით უნდა მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესებთან დაკავშირებით მარტივი და გასაგები ფორმით.

მონაცემთა სუბიექტებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული რისკებისა და მათი უფლებების რეალიზაციის შესახებ.[35] თუ მონაცემთა სუბიექტებს წარმოადგენენ არასრულწლოვნები, უნდა იქნას

[33] Article 29 Data Protection Working Party, Guidelines on transparency under Regulation 2016/679, Adopted on 29 November 2017, 30.

[34] GDPR hub, Article 14 GDPR, Information to be provided where personal data have not been obtained from the data subject, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_14_GDPR>, [21.10.2024].

[35] Data Protection Commission (DPC), Ireland, The right to be informed (transparency) (Article 13 & 14 GDPR), <https://www.dataprotection.ie/en/individuals/know-your-rights/right-be-informed-transparency-article-13-

გათვალისწინებული ასაკი და განვითარების დონე.[36] კონკრეტულად, ასახული ინფორმაცია უნდა იყოს: ზუსტი; გამჭვირვალე; მარტივად ხელმისაწვდომი; მკაფიო; გასაგები; სამიზნე აუდიტორიაზე მორგებული.[37]

ამავდროულად, **კონფიდენციალურობის პოლიტიკაში მიზანშეწონილია, გაკეთდეს მითითება იმის შესახებ, რომ დოკუმენტი საჭიროების შემთხვევაში დაექვემდებარება გადახედვას.**

14-gdpr?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR0MnSIGxlspnPLipF0Bgemktp22-j7gcV67-FZatRP6EtXmSEmY5FKqaFE_aem_UtUHt7LDKrwsvz9FPvQWQw>, [21.10.2024].

[36] Data Protection Commission (DPC), Ireland, The right to be informed (transparency) (Article 13 & 14 GDPR).

[37] Information Commissioner's Office (ICO), Transparency, <https://ico.org.uk/for-organisations/uk-gdpr-guidance-and-resources/accountability-and-governance/accountability-framework/transparency/?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR2qDYDBFnPhraGMay0b2R_9z0IioNFt2iJc5uN_NQZOVc0MAfYdraGhjrU_aem_zolvG-NrM8vAQY9htg5cXw#:~:text=Transparency%20is%20a%20key%20data,it%20relates%20to%20a%20child>, [21.10.2024].

დანართი - კონფიდენციალურობის პოლიტიკაში გასათვალისწინებელი მინიმალური ინფორმაცია

დანართში ცხრილის სახით წარმოდგენილია კონფიდენციალურობის პოლიტიკაში გასათვალისწინებელი სავალდებულო ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე და 25-ე მუხლებით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი არ იზღუდება, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, დოკუმენტში ასახოს სხვა დამატებითი ინფორმაცია.

წარსადგენი ინფორმაციის შინაარსი	მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მონაცემთა უშუალოდ მისგან შეგროვების შემთხვევაში (კანონის 24-ე მუხლი)	მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება, თუ მონაცემების შეგროვება უშუალოდ მისგან არ ხდება (კანონის 25-ე მუხლი)
დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, მისი წარმომადგენლის ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა/სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია	✓	✓
მონაცემთა დამუშავების მიზნები	✓	✓
მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი	✓	✓
მონაცემთა მიწოდების სავალდებულოობა. თუ		

მონაცემთა მიწოდება სავალდებულოა – მონაცემთა მიწოდებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები	✓	
დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესები, თუ მონაცემები კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად მუშავდება	✓	✓
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია	✓	✓
მონაცემთა მიმღების ვინაობა ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	✓	✓
მონაცემთა დაგეგმილი გადაცემა და მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობა	✓	✓

მონაცემთა შენახვის ვადა, თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმები	✓	✓
მონაცემთა სუბიექტის კანონის III თავით გათვალისწინებული უფლებები	✓	✓
პერსონალური მონაცემების კატეგორიები		✓
ინფორმაციის მოპოვების წყარო		✓

ნატო ვაჩნაძის ქუჩა N° 7, თბილისი

ბაქოს ქუჩა N° 48, ბათუმი

(+995 32) 242 1000

office@pdps.ge